

შპს “ვარციხე 2005”

ტექნიკური დავალება

შპს “ვარციხე 2005” კასკადის სათავე ნაგებობაზე მდინარე რიონზე
თევზსავალის მშენებლობაზე

- ობიექტი:** შ.პ.ს. “ვარციხე 2005”-ის საკუთრებაში არსებულ სათავე ნაგებობაზე თევზსავალის მშენებლობა.
- სამუშაოს საფუძველი:** გარემოსდაცვითი დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 18 ივნისის № DESI1500000177 ბრძანების და შესაბამისად იმერეთის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ შემოწმდა შ.პ.ს. “ვარციხე 2005”-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების № 000029 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა. 2017 წლის 02 ივნისს კვლავ შემოწმდა ზემოთ აღნიშნული ნებართვით გათვალისწინებული პირობების შესრულება და ინსპექტირების N000400 აქტის დანართ N1-ში აღსახა შეუსრულებელი პირობები. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2018 წლის 14 აგვისტოს წერილითა და მისი დანართის მიხედვით დაგეგვალა რიგი პირობების შესრულება, რომელთაგან ერთ-ერთი პირობა არის შ.პ.ს. “ვარციხე 2005”-ის მიერ სათავე ნაგებობაზე თევზსავალის მოწყობა.
2017 წლის 11 აპრილს შ.პ.ს. “ვარციხე 2005”-სა და საპროექტო ორგანიზაცია შ.პ.ს. “ბასიანი-93”-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება № 48/17, რომლის საფუძველზეც დამუშავდა საპროექტო დოკუმენტაცია სათავე ნაგებობაზე თევზსავალის მშენებლობისათვის.
სამუშაოების წარმოება ობიექტზე შესრულდება შ.პ.ს. “ბასიანი-93”-ის საპროექტო მუშა ნახაზებით (დანართი №1 - თევზსავალი 2022).
- ობიექტის ადგილმდებარეობა:** საქართველო, იმერეთის რეგიონი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხე, შ.პ.ს. “ვარციხე 2005”-ის სათავე ნაგებობა, მიწაყრილის კაშხალის მიმდებარე ტერიტორია (მიწის საკადასტრო კოდი 30.03.38.041).
- დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სამშენებლო სამუშაოების შესრულება:**
სამუშაოების შესრულება ობიექტზე წარმოებს წინამდებარე დავალებით, შ.პ.ს. “ბასიანი-93”-ის მიერ დამუშავებული საპროექტო მუშა ნახაზებით მოცემული ობიექტისთვის, აგრეთვე კონტრაქტორის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც შეთანხმებული იქნება დამკვეთთან (რომელიც გამოვლინდება ტენდერის საფუძველზე ფასთა კვოტირებით).
- ობიექტის სეისმომდებლობა:** საქართველოს სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით მშენებარე ნაგებობის ტერიტორია შედის სეისმური ზემოქმედების 7 ბალიანი ზონის ფარგლებში.
- თევზსავალის მოწყობის განხორციელებისათვის ტექნიკური პირობები:** იხილეთ შპს “ბასიანი-93”-ის საპროექტო დოკუმენტაცია (დანართი №1 - თევზსავალი 2022).

7. თევზსავალის ტექნიკური მონაცემები:

- თევზსავალის ზედა და ქვედა ბიეფებს შორის დონეთა სხვაობა - 10 მ
- თევზსავალის საერთო სიგრძე - 254,5 მ
- აუზების რაოდენობა - 50 ცალი
- აუზის სიგრძე - 5 მ
- აუზის სიგანე - 3 მ
- წყლის სიღრმე აუზში - 0,8 მ
- ვარდნა აუზებს შორის - 0,2 მ
- აუზებს შორის 0,3 მ სისქის ტიხრების მოწყობა, რომლებშიც თევზის გასასვლელად ორი ღიობია, ფსკერული და ზედაპირული:
 - ✓ ფსკერულის პარამეტრებია - 1,5 მ X 1,0 მ
 - ✓ ზედაპირულის პარამეტრებია - 0,3 მ X 0,3 მ
- წყლის ხარჯი თევზსავალში - $Q_{თევზ} = 2,08 \text{ მ}^3/\text{წმ}$

8. თევზსავალის ძირითადი სამუშაოების მოცულობები:

№	სამუშაოთა დასახელება	განზომილებების ერთეული	კაშხლის ტანი	კედლები	ძირი	ტიხრები	გადახურვა	რიგვლები	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ზღუდარის მოწყობა/დაშლა	კბმ	1764						1764
2	მაკაფერის გაბიონი 2X1X1	ცალი	46						46
3	III-IV კატ. გრუნტის დამუშავება	კბმ	5035						5035
4	არსებული ბეტონის მონგრევა	კბმ	36						36
5	ყრილი და უკუყრილი	კბმ		5740					5740
6	ხარისხოვანი ყრილი	კბმ	1665						1665
7	გეოტექსტილი	კვმ	1581						1581
8	რიყის ქვა	კბმ	92		105				197
9	ხის მასალა	კბმ		21.67	0.24	1.33	1.42		24.66
10	საყალიბე ფარები	კვმ		904.4	23	55.6			983
11	მონოლითური რკინაბეტონი "მ-300"	კბმ	28	1171	183	72	61	22	1537
12	არმატურა	ტ		106.36	8.26	3.65	4.94	1.48	124.69
13	ხრეშოვანი მომზადება	კბმ			190				190
14	"Sika WaterBar M-25" პოლიმერული შემჭიდროვება	გრძ.მ		490	510				1000
15	ბიტუმი-პოლიმერული პიდროიზოლაცია	კვმ	1989						1989
16	"SikaSwell Aprofil 2010" ცივი ნაკერის პიდროიზოლაცია	გრძ.მ	20.1						20.1

9. მშენებლობის მართვის ორგანიზაცია: მშენებლობის წარმოების ორგანიზაცია და მართვა ევალება კონტრაქტორ სამშენებლო ორგანიზაციას, ხოლო მისი შესრულების შემოწმება – დამკვეთის სათანადო სამსახურს;
- კონტრაქტორი ვალდებულია წინამდებარე ტექნიკური დავალების და საპროექტო სამშენებლო ნახაზების საფუძველზე, თავისი ძალებით დაამუშაოს

სამუშაოთა წარმოების პროექტი და უზრუნველყოფის კონტროლის განხორციელება დამკვეთის წარმომადგენლის მონაწილეობით;

სამუშაოთა მსვლელობისას უსაფრთხოების, ხანძარსა-წინააღმდეგო ღონისძიებების და შრომის დაცვის წესების უზრუნველყოფა ევალება კონტრაქტორს;

10. **სამშენებლო მასალებით, მექანიზმებითა და მუშახელით უზრუნველყოფა:** ობიექტის მუშა-სპეციალისტებით, მასალებითა და მექანიზმებით უზრუნველყოფა და მისი მიწოდება სამშენებლო მოედნამდე ევალება სამშენებლო ორგანიზაციას (კონტრაქტორს);

11. **ღირებულების განსაზღვრა:**

- სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრება ტექნიკური დავალების და საპროექტო ნახაზების საფუძველზე, ტენდერის მონაწილე ორგანიზაციის მიერ საქართველოში მოქმედი საბაზრო ფასების და კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- ტენდერის მონაწილე სუბიექტი გამოიყენებს მოყვანილ ცხრილებს კრებისით და ლოკალური ხარჯთაღრიცხვების შესადგენად მოცემული ფორმით, რის საფუძველზეც განსაზღვრავს მის მიერ ტენდერის წარმოსადგენ სამუშაოს სრულ ღირებულებას;
- ტენდერის გამარჯვებული სამშენებლო (კონტრაქტორი) ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოადგინოს დამკვეთთან სამუშაოს ღირებულების კრებისით და ლოკალური ხარჯთაღრიცხვები თანდართული ფორმების მიხედვით, შესათანხმებლად და დასამტკიცებლად;
- დამკვეთის მიერ სამშენებლო ორგანიზაციისათვის (კონტრაქტორი) გარკვეული სამშენებლო მასალების მიწოდების შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვაში მასალების ფასი შემცირდება მიწოდებული მასალების რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ამ მასალებზე დამტკიცებული და ურთიერთშორის შეთანხმებული სახარჯთაღრიცხვო ფასისა;

12. **თევზსავალის კრებისით და ლოკალური ხარჯთაღრიცხვების ფორმები:** ტენდერში მონაწილე ორგანიზაცია სარგებლობს ტენდერიზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ფორმებით (*დანართი №2 - ხარჯთაღრიცხვა*) ობიექტის ღირებულების დასადგენად. გამარჯვებული კონტრაქტორი ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს აღნიშნული ხარჯთაღრიცხვები შესათანხმებლად და დასამტკიცებლად).

შენიშვნა: მშენებლობის სამუშაოები ჩატარება განაწილდება 2 ეტაპად: სამუშაოების 50 % - 2024 წელს, სამუშაოების 50 % - 2025 წელს,